საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ქ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ადვოკატი გ. ლ. /სიითი №/; ადვოკატი ს. კ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.02.23

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 016/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ტ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ტ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 17 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ტ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის პოზიციით, 2023 წლის 9 იანვარს ადვოკატი ტ. კ. ვინაობის გამხელის გარეშე შეიჭრა ნ. ქ.-ს მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ ბინაში და მას მიმართავდა უხეშად, ყვირილით, შეურაცხმყოფელი სიტყვებით. მას შემდეგ, რაც მან ადვოკატს სთხოვა თავი წარედგინა, პასუხად მიიღო, რომ იყო ოჯახის ახლობელი და მიმართა ფრაზით: „გაეთრიე ამ სახლიდან“. ასევე, ადვოკატი უნებართვოდ აწარმოებდა ნ. ქ.-ს და მისი არასრულწლოვანი შვილის - მარიამ სარიშვილის ვიდეო გადაღებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, დაძაბულობის გამო იგი გახდა ცუდად და როცა აივნის კარი შეაღო, ადვოკატმა ის ხელით უხეშად გასწია და კარი დახურა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ტ. კ.-ს, მის მიერ განხორციელებული არაეთიკური ქცევიდან გამომდინარე, უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 ადვოკატმა ტ. კ. -მ 2023 წლის 24 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარს არ ეთანხმება რადგან მასში მითითებული პრეტენზიები სინამდვილეს არ შეესაბამება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ბინის მესაკუთრე დ. კ.-სა და ნ. ქ.-ს შორის ზეპირი ფორმით დადებული ქირავნობის შეთანხმებით, ნ. ქ.-მ დ. კ.-ს ბინა იქირავა 1 წლის ვადით, 2023 წლის მაისამდე. თუმცა, ნ. ქ.-მ ნ. ქ. გააფრთხილა, რომ ვადაზე ადრე თუ დასჭირდებოდა თავის ბინაში საცხოვრებლად გადმოსვლა, გონივრული ვადით - 1 თვით ადრე აცნობებდა და დამქირავებელს ბინა უნდა დაეცალა. ნ. ქ.-მ ნ. ქ. ბინის დაცლის შესახებ გააფრთხილა 2022 წლის 10 ნოემბერს, თუმცა ნ. ქ.-მ ბინა არ დაცალა. იმის გამო, რომ იყო საახალწლო პერიოდი, ნ. ქ.-მ გამოიჩინა კეთილი ნება და ნ. ქ.-ს ბინის დასაცლელად ვადა მისცა საახალწლო პერიოდის შემდეგ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, როდესაც ის კლიენტთან დ. კ.-თან ერთად მივიდა ბინაში, ნ. ქ.-ს წარუდგინა მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - ადვოკატის ორდერი. ბინაში მისვლისას, კონფლიქტური სიტუაციის თავიდან ასარიდებლად, მისმა კლიენტმა, ნ. ქ.-მ გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელთან ადვოკატმა ასევე წარუდგინა ადვოკატის ორდერი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, რადგან ნ. ქ.-ს და მისი ადვოკატების მხრიდან ხდებოდა მათი ვიდეო გადაღება, მან თავის დაცვის მიზნით, თავადაც დაიწყო გადაღება, მობილური ტელეფონის მეშვეობით.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას ნ. ქ.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია და ის არ გაუწევია ფიზიკური ძალის გამოყენებით.

2.6 ადვოკატმა განმარტა, რომ მას არ დაურღვევია ეთიკური ვალდებულება და პირიქით, ნ. ქ.-ს ადვოკატებმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა როგორც მას, ასევე მის კლიენტს - დ. კ.-ს.

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ტ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ნ. ქ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 17 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წლის 9 იანვარს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ტ. კ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2023 წლის 2 მარტს საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, ადვოკატ ტ. კ.-ს მიმართ არ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ტ. კ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N016/23 ადვოკატ ტ. კ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/